**Revaz Mishveladze**
Professor,
Georgian Technical University

# Problems of the Contemporary Georgian Opinion Press

(Abstract)

KEYWORDS: Opinion Press, Print Media, Genres, Narrative Journalism, Profile, Feature, Reportage, Scoop, Scandal, Media Problems, Media Law, Georgia, Creeping Occupation

The modern Georgian opinion press – traditionally termed *publicistic journalism* within Continental media theory – has displayed a distinctly unpleasant tendency to decline since the beginning of the third millennium. Recently, a number of newspapers and magazines have been closing one after another, almost as if the disappearance were taking place out of sight. The immediate cause is not difficult to identify: demand among popular readers has fallen. Subscriptions to several long-established newspapers have dropped dramatically. Yet, although journalism research is active and scholars are diligently investigating the causes of readers' growing indifference, no single explanation emerges that could fully account for the current situation.

At the same time, our contemporary media has taken an unprecedented step towards scandal. The pursuit of sensation, in effect, undermines its ability to penetrate the deeper structure of events and to address their underlying causes. It is therefore perhaps unsurprising that it has become difficult to name a Georgian "mega-newspaper" with a recognisable journalistic style. Most journalists, in practice, seem to have been reduced to


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

little more than interviewers – tasks that, while not without value, cannot replace interpretation, analysis, or narrative depth.

A further feature of today's print landscape is its monotonous symmetry. Opposition newspapers often prove indistinguishable from one another, even in terms of their topics. Similarly, pro-government newspapers are levelled by a certain invisible inevitability and, for obvious reasons, have become repetitive. How is it possible for an opposition paper to fail to notice even a single step, a single positive decision, or a single substantial piece of work accomplished by the government? Conversely, how could an editor of a pro-government newspaper – or its freelance journalists – fail to notice the very flaws that deserve scrutiny: mistakes, errors, or even inadvertent inaccuracies, for which the government should be held to account? The central defect of modern media lies precisely here: it has become excessively politicised, radical in tone, and fundamentally one-sided.

I would also suggest that the reader's loss of interest in contemporary print media is connected to the gradual disappearance of the oldest, tried-and-tested genres of journalism. Today, almost nobody attempts the profile, the feature article, or reportage in the full sense of these forms. Genres that require observation, research, patient reconstruction, and narrative responsibility have been replaced by formats that prioritise speed, topicality, and ideological emphasis. In the long run, such practices can only weaken the press's cultural function: instead of opening a window onto reality, they offer a distorted mirror. Let me illustrate this with a brief but personal testimony. I want to speak of a feature article – not as theory, but through a story.

Some time ago, I visited the village of Ditsi in the Gori municipality. It is a near-border settlement where Russian occupiers are seizing Georgian villages. They have intensified what is often described as creeping annexation. The barbed wire has swallowed part of Georgian farmers' arable land. The fence


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

did not merely divide fields: it cut the historical cemetery of Ditsi in half. Consequently, the community was physically split – some remained on one side, others on the other. I walked through the village, stepping only on the unoccupied half of the stubble fields – fields that had been grasped illegally, in an unthinkable, inhuman manner. At that moment, as a Georgian writer, I felt tears rise from helplessness: helplessness towards the local people and towards my homeland.

I cannot claim that Georgian journalists ignored this national tragedy. Our newspapers, radio, and television have repeatedly exposed the lawlessness of the Russian invaders. And yet coverage consistently failed to articulate the main point – one that should draw the attention not only of the Georgian public, but of the wider world. It was not merely creeping annexation. It was also vandalism on an unprecedented scale: the deliberate, senseless destruction carried out by the occupiers.

Within two years of my visit, only the ruins of the "ghost village" will remain where Ditsi once stood. The Russians have since cut off the village's drinking water and blocked the irrigation canal entirely. Despite the magnitude of this destruction, no single feature article in modern Georgian newspapers has addressed the problem in depth. Journalistic attention has narrowed to what was visible – barbed wire – while the full range of misfortunes and consequences brought by such lawlessness and cruelty has remained largely unexplored.

When journalists fail to see the problem, when they do not investigate its core, when the central element is lost amid surrounding noise, the press can no longer claim to be guided by truth or relevance. It becomes a mechanism of selective attention rather than a means of understanding. Such media has no durable future. In my view, this is the main problem of the modern Georgian opinion press: it is not simply that it reports less, but that it often misrecognises what matters most, replacing genuine narrative and investigative depth with politically shaped visibility.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

**რევაზ მიშველაძე**
პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

# თანამედროვე ქართული პუბლიცისტიკის პრობლემები

საკვანძო სიტყვები: პუბლიცისტიკა, ბეჭდური მედია, ჟანრები, შემოქმედებითი ჟურნალისტიკა, ნარკვევი, სტატია, რეპორტაჟი, სენსაცია, სკანდალი, მედიაპრობლემები, მედიაკანონი, საქართველო, მცოცავი ოკუპაცია

მასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით პუბლიცისტიკამ დიდად გაუსწრო თავისი ოპერატიულობით მხატვრულ ლიტერატურას და ეს გარემოება იმდენად თვალსაჩინოა, რომ საბაბი მისცა არაერთ მკვლევარს, პუბლიცისტიკა ჟურნალისტიკის ჟანრად მიეჩნია; მედიალოგები, ჟურნალისტიკის თეორეტიკოსები პუბლიცისტიკას „ჟურნალისტიკის ხერხემალს“ უწოდებენ.[1] მეტიც, მედიათეორიაში განიხილება „ინფორმაციული ჟანრები“ და „პუბლიცისტური ჟანრები“.[2] თუ ინფორმაციულ ჟანრებში ავტორის მოვალეობა გადამოწმებულ-დაზუსტებული ფაქტების პირუთვნელი ჩვენებაა, ყოველგვარი კომენტირების გარეშე, და, შესაბამისად, იგივეა მისი პროფესიული მიზანიც,[3] პუბლიცისტურ ტექსტში: „არა აღსაწერი ფაქტები ან მოვლენები თავისთავად, არამედ, მიზეზთა და შედეგთა ავტორისეული ინტერპრეტაცია, ავტორის ნება, ავტორისეული ტენდენცია წარმოადგენს პუბლიცისტიკის საფუძველს“.[4] პუბლიცისტიკა, იგივე – დოკუმენტური პროზა, რომელსაც ახასიათებს



BRAMS 2025 Nov
Volume 6, Issue 15
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სინამდვილის ფაქტებისა და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კვლევა, ანალიზი, მსჯელობა, ინტერპრეტაციის ხელოვნება,[5] დასკვნებისა და რეკომენდაციების, სამომავლო პროგნოზების შემოთავაზება, სწორედ რომ პური არსობისაა ჟურნალისტიკისა.

ზოგიერთი ვაიმკვლევარი პუბლიცისტიკასა და ჟურნალისტიკას აიგივებს, რაც სერიოზული შეცდომაა: ჟურნალისტიკა ბევრად ფართე ცნებაა. არ გავყვები თეორიულ მსჯელობებს; გავხაზავ იმ ფაქტს, რომ ქართულმა ჟურნალისტიკამ პირველი ქართული ყოველკვირეული „საქართველოს გაზეთიდან“[6] (1819-1821)[7] არნახულად იბარტყა[8] და დღეს საქართველოში 500-მდე სხვადასხვა დასახელების ჟურნალი და გაზეთი გამოდის. პერიოდულ გამოცემათა გეომეტრიული პროგრესიით ზრდა ეპოქის მოთხოვნა გახლდათ. რაც დრო გადის, მოქალაქეს ინფორმაციის მოთხოვნილება, ეპოქის მაჯისცემის შესაბამისად, უასკეცდება და ჟურნალისტიკას,[9] სრულიად ბუნებრივია, ფეხი უნდა აეყოლიებინა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისთვის,[10] რამაც მთელი მსოფლიო მოიცვა.

დიდი ხნის განმავლობაში, რაც ამ სტრიქონების ავტორმა წერა-კითხვა ისწავლა, საქართველოში გაზეთების მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობა გამოდიოდა: „კომუნისტი“ (1922), „ზარია ვოსტოკა“ (რუსულ ენაზე, 1922), „თბილისი“ (1958), „ახალგაზრდა კომუნისტი“ (1925), „ლელო“ (1934) „სახალხო განათლება“ (1928), „სოფლის ცხოვრება“ (1921), „ნორჩი ლენინელი“ (1938) და „ლიტერატურული საქართველო“ (1931); აგრეთვე, „სოვეტაკან ვრასტანი“ (სომხურ ენაზე, 1921), „სოვეტ გურჯუსტანი“ (აზერბაიჯანულ ენაზე, 1921) და „ვეჩერნი ტბილისი“


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

(რუსულ ენაზე, 1923). ვერ ვიტყვი, რომ ეს გაზეთები სრულად აკმაყოფილებდნენ იმპერიის მოქალაქის სულიერ მოთხოვნილებებს, მაგრამ რიგითი მკითხველები ინფორმაციის ნაკლებობას არ განვიცდიდით. არსებობდა მკაცრი კომუნისტური ცენზურა და, კომუნისტებისვე აზრით, მკითხველს მიეწოდებოდა ის, რაც მას უნდა სცოდნოდა. არც მეტი, არც ნაკლები.

გამოხდა ხანი. შეტორტმანდა საბჭოთა იმპერია და ცენზურის მარწუხებიც, სურდა თუ არ სურდა ეს ხელისუფლებას, საგრძნობლად შესუსტდა. გაჩნდა უამრავი გაზეთი, თუმცა სრული განუკითხაობის ეპოქა ჯერ კიდევ შორს იყო. კომუნისტური იდეოლოგიის არტახები ჯერ ისევ ბოჭავდა ჟურნალისტს და იგი თავს არ აძლევდა ე.წ. უნაპირო თავისუფლების უფლებას.[11]

ახლა XXI საუკუნის 25-ე წელი იწურება. კარგა ხანია საქართველოში ჟურნალისტიკის ბუმი სუფევს. მხოლოდდამხოლოდ იუსტიციის სახლში სახელდახელო რეგისტრაციის შედეგად ერთ დღეში იჩეკება და იჩეკება ახალი გაზეთები. თუ XIX საუკუნის სამოციანელებს[12] 1905 წლის რევოლუციის შემდეგაც კი ტყავს აძრობდნენ, რათა ახალი გაზეთის ან ჟურნალის გამოცემის შემთხვევაში პოლიციისთვის ზედმიწევნითი სიზუსტით წარედგინათ ცნობები მათი გაზეთისა თუ ჟურნალის მიმართულების, პერიოდიზაცის, ჟანრული სტრუქტურის შესახებაც კი, დღეს მსგავსი კონტროლი არ არსებობს. წესდებაში გაფორმებული ვალდებულების მიუხედავად, წერე რაც გინდა და წერე, როგორც გინდა.

და მაინც, რაკი თვით საინფორმაციო ტექნიკის ახალ საოცრებას, კომპიუტერიზაციასაც კი შეეპარა თავისი ვირუსი, პუბლიცისტიკასაც შეეტყო დაღმასვლის ფრიად არასასიამოვნო ტენდენცია. მესამე ათასწლეულის დაწყებიდან ძალიან მალევე, ჩვენს თვალწინ დაიხურა


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

არაერთი ქართული გაზეთი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მკითხველში მათზე მოთხოვნამ იკლო. რამდენიმე სახელოვანი გაზეთის ტირაჟი გულისმომკვლელად შემცირდა. წელზე ფეხს იდგამენ ჟურნალსტები, რათა არ ჩამოვიდეს მათი ბეჭდური პირმშო წამყვანი გაზეთისა და პრესის ფლაგმანის კვარცხლბეკიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ახერხებენ; გაზეთების ტირაჟი ელვის სისწრაფით მცირდება.

1960-იან წლებში გაზეთი „კომუნისტი“ თითქმის ნახევარმილიონიანი ტირაჟით გამოდიოდა, ხოლო „თბილისი“ არა მარტო დედაქალაქში, მთელ საქართველოში 200 ათასი ცალი იყიდებოდა. საგაზეთო ჯიხურებთან მოქალაქეთა გრძელი რიგი იდგა და ნაშუადღევს ანუ დღის 12 საათის შემდეგ საეჭვო იყო „თბილისის“ „ლიტერატურული საქართველოს“, „ახალგაზრდა კომუნისტის“ ან „ლელოს“ ნომრები დარჩენილიყო საყიდლად.

პუბლიცისტიკის მკვლევრები გაფაციცებით ეძებენ პრესისადმი მკითხველთა გაგულგრილების მიზეზებს, მაგრამ ამ ვითარების ზუსტ ახსნას მაინც ვერ გვთავაზობენ. ერთნი პრესის ტირაჟის შემცირებას კომპიუტერისა და ტელევიზიის თანმიმდევრული, ძლიერი მეტოქეობით ხსნიან; მეორენი – თვით პუბლიცისტიკის შიგნით მიმდინარე ცვლილებებით. ეს პროცესები ზედაპირზე არ დევს, საკმაოდ ღრმაა და პროფესიონალთა გულისხმიერ კვლევას საჭიროებს.

რა ხდება? მიუხედავად პრესის ზღვარგადასული თავისუფლებისა, მაშინ, როცა კარგა ხნის დავიწყებული და გადაგდებულია ცენზორ ლუკა ისარლოვის[13] წითელი ფანქარი, რატომ ხდება, რომ ზოგი გაზეთი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს? ხომ არ დაიღალა მკითხველი თავისუფალი პრესით?[14]


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ჩვენმა პარლამენტმა რამდენჯერმე სცადა მიეღო „პრესის კანონი“, სადაც ზუსტად იქნებოდა ჩამოყალიბებული ჟურნალისტის უფლება-მოვალეობანი, მაგრამ ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. „ბრძენი პარლამენტარები“ ვერ შეთანხმდნენ ერთ საკვანძო საკითხზე – როგორ მოევლოთ ცილისწამების რეციდივისთვის პრესაში. ზოგ პარლამენტარს და პრესის ქომაგს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ თუ პრესაში ცილისწამების აკრძალვის შესახებ სპეციალურ მუხლს შეიტანდნენ კანონპროექტში, ეს პრესის თავისუფლების ხელყოფა იქნებოდა. ზოგი აგრესიული ჟურნალისტი ხმამაღლა აცხადებდა: გაზეთი რა გაზეთია, თუ მასში თუნდაც ერთი ცილისწამება არ იქნაო. ყოველივე ამის გამო ხელთა გვაქვს პრესის არასრულყოფილი კანონი, ხოლო ჟურნალისტიკაში ბოგინებს აღვირახსნილი ე.წ. ჟურნალისტური დემოკრატია, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ფეხქვეშ თელავს ადამიანთა ღირსებებს.

პრესის თავისუფლება არ ნიშნავს ლანძღვის თავისუფლებას.[15] ერთ მოვლენაზე ორი ჭეშმარიტი აზრი არ არსებობს. ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია. როცა გაზეთის მესვეურებს ჰგონიათ, რომ სიმართლე მაინცდამაინც და მხოლოდ მათ მხარესაა, ეს შეცდომაა.[16]

დღეს საქართველოში არ გამოდის არცერთი თავისუფალი გაზეთი ანუ ისეთი პერიოდული გამოცემა, რომელიც პირუთვნელად ასახავს საქართველოს ცხოვრებას, არაა მიკერძოებული და არ გამოხატავს რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს. ვერცერთ გაზეთში ვერ წაიკითხავთ ურთიერთსაწინააღმდეგო, განსხვავებულ აზრებს. ცხოვრების ფართო სპექტრით ასახვა უცხო გამხდარა თანამედროვე ქართული გაზეთისათვის. თუ რომელიმე პარტიის ხელში გაზეთი მისი პარტიული იდეების მღაღადებელი არაა, ამ


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შემთხვევაში იგი თავისი დამფინანსებლის ნებას არ ემსახურება, უსარგებლო და არასასურველი ხდება.

ახალდაარსებული გაზეთის რედაქტორს რომ შეეკითხები, რითი არსებობთ, გაზეთი ხომ დღეს დამოუკიდებლად თავს ვერ ირჩენს, ვინ გაფინანსებთო, იგი ჩაიღიმებს და რუსეთში, ამერიკაში ან რომელიმე ობშორულ ზონაში (ვთქვათ, ჰავაის კუნძულებზე) მცხოვრებ მილიონერს დაგისახელებთ. ეს, რაც შეეხება, ე.წ. „თავისუფლებას“.

როგორც უკვე აღვნიშნე, პრესაში გამოქვეყნებული შეუმოწმებელი ფაქტის ან პიროვნების ღირსების შეურაცხმყოფელი ინსინუაციის[17] გამო ჟურნალისტს პასუხს არავინ აგებინებს. პრესის სხვადასხვა ორგანოს შორის არსებობს სრულიად გაუგებარი ურთიერთობა. თუ მიიტან წერილს, ამა და ამ გაზეთში უსამართლოდ ცილი დამწამესო, უბოდიშოდ უკან გამოგისტუმრებენ: ჩვენ სხვა გაზეთს ვერ შევეკამათებით, სადაც ცილი დაგწამეს, ისევ იმ გაზეთს მიმართეთო. იმ გაზეთში კი, სადაც შენზე პასკვილი გამოაცხვეს, კარს უბოდიშოდ მოგიკეტავენ: პასუხებს არ ვბეჭდავთ, სადაც გსურთ, იქ გვიჩივლეთო. რა არის ეს? საიდან მოვიდა ეს წრესგადასული ჟურნალისტური ამპარტავნობა? (თავხედობა ან განუკითხაობა, რომ არ ვთქვათ). სად ეძებოს სამართალი უსაბუთოდ გალანძღულმა ადამიანმა?

გაზეთისათვის გადაულახავი ჩინური კედლის შემოვლება იწვევს მეორე არანაკლებ უბედურებას: ხელისუფლებას გაზეთებზე დაშვებული აქვს „წერე და იკითხეს“ სრულიად მიუღებელი პრინციპი. გაზეთმა შექმნა საზოგადოებრივი აზრი, პიროვნება საბუთიანად თუ უსაბუთოდ გააკრიტიკა (რბლად რომ ვთქვათ). სად დაიკარგა პრესაზე ხელისუფლების სათანადო რეაგირების წესი? რატომ დაიბანა ხელი ხელისუფლებამ


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

და რატომ მიუშვა ნებაზე ზოგიერთი ცილისმწამებელი ჟურნალისტი? სწორედ ეს არის ჟურნალისტიკისადმი მკითხველის თანდათანობით გაგულგრილების ერთ-ერთი მიზეზი. ჟურნალისტის სიტყვამ ავტორიტეტი, ფასი, ძალა დაკარგა და მას სერიოზულად, თითქმის, აღარავინ აღიქვამს, თუ საერთოდ უსმენს და კითხულობს.

რა დღეშია თვით ჟურნალისტი? დღეს ამ პროფესიის წარმომადგენლის შემოქმედებით ზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია. მისგან გაზეთი მხოლოდ სენსაციას მოითხოვს. საქმე იქამდეა მისული, რომ რედაქტორები არ დაგიდევენ, ეს სენსაცია მართლა მოხდა თუ არა.

გაზეთი ერთი დღით ცოცხლობსო, ამბობენ ასეთ რედაქციებში. თუ გაზეთში თუნდაც ერთი მძაფრი კრიტიკული სტატია არ იქნა, ასეთ გაზეთს არავინ იყიდის, ამიტომ, ჩვენ დავბეჭდოთ და, მართალია თუ არა ეს, მკითხველმა არკვიოსო. სასურველი ფაქტი რომ ვერ მოიპოვა, ლამაზი გამონაგონი შესთავაზა მკითხველს ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯენეტ კუკმა, მაგრამ მისი ფანტაზიის ნაყოფის წარმომავლობა გამოაშკარავდა და ამ სიყალბისთვის უკვე მინიჭებული სანუკვარი პულიტსერის პრემია დაკარგა.[18] ამ ქალბატონს ჯილდო ჩამოართვეს, ჩვენს თავაშვებულ ჟურნალისტებს კი საყვედურსაც ვერავინ შეკადრებს. ამგვარი განწყობაა გამეფებული დიდწილად თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში და სწორედ ამიტომაა, რომ თანდათან იკარგება ის გულთბილი, ყურადღებიანი კავშირი, მკითხველსა და რედაქციას შორის რომ არსებობდა ათეული წლის განმავლობაში.

პრესისადმი ყურადღების შესუსტების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ დაიკარგა ჟურნალისტიკის უძველესი, ნაცადი ჟანრები. დღეს, თითქმის, აღარავინ წერს ნარკვევს, რეპორტაჟს, პრობლემურ სტატიას. ამ


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

უკანასკნელზე მოგახსენებთ: ამას წინათ დიცში გახლდით. ეს ის საზღვრისპირა სოფელია, სადაც რუსი ოკუპანტები ე.წ. მცოცავი ანექსიით იტაცებენ ქართულ სოფლებს და მავთულხლართები ყლაპავს გორის მუნიციპალიტეტის გლეხთა ხოდაბუნებს. 2013 წელს რუსულმა უკანონო მავთულხლართმა შუაზე გაჭრა დიცის ისტორიული სასაფლაო.[19] მცხოვრებთა ერთი ნაწილი იქით, გაღმა მხარეს დარჩა. დავდიოდი მე, ქართველი მწერალი სოფელში, ვაბიჯებდი უღმერთოდ შუაზე გაჭრილ ანეულებზე დ ცრემლი მახრჩობდა ჩემი უმწეობის გამო.

ვერ ვიტყვი, რომ ქართულმა ჟურნალისტიკამ ამ ტრაგედიას ყურადღება არ მიაქცია. გაზეთებმა, რადიომ, ტელევიზიამ არაერთგზის გაუსვა ხაზი რუსი დამპყრობლის თავხედობას, მაგრამ ჟურნალისტებს, თითქოს პირი შეჰკრესო, მხედველობიდან გამორჩათ უმთავრესი. არამარტო ქართველი ხალხის, არამედ, მსოფლიოს ყურადღება უნდა მიეპყროთ იმ ფაქტისთვის, რომ საქმე მხოლოდ მცოცავი ოკუპაცია კი არა, ის გაუგონარი ვანდალიზმია, რაც რუსებმა ჩაიდინეს: ათასწლოვანი დიცი ჩვენს თვალწინ ხმება, ჩვენს თვალწინ შრება! ორიოდე წლის შემდეგ დიცში მხოლოდ ნანგრევები და ნასახლარებიღა დარჩება, რადგან რუსებმა სოფელს ერთბაშად შეუწყვიტეს სასმელი წყალი და გადაკეტეს სარწყავი არხი. დიცელთა ეზო-გარემოში რომ გადაიხედოთ, გული მოგიკვდებათ: მიწაზე ყრია ვაშლი, რომელიც ბოლომდე ვერ დამწიფდა უწყლობის გამო. არადა, სწორედ ეს ვაშლია დიცელთა მთავარი მარჩენალი. დიცელები მიდგომიან მათ მიერ დამყნილ-გახარებულ ხეხილს და უმოწყალოდ ჭრიან უწყლობით ზეზეულად გამხმარ ხეებს, რათა შეშად მაინც გამოიყენონ.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გული კინაღამ გამიჩერდა, რადგან საკუთარი თვალით ვიხილე მჭიდროდ დასახლებული ქართული სოფლის კვდომა. ვინ აგებს პასუხს ამაზე? რატომ ხდება მსოფლიოს თვალწინ ასეთი უღმერთობა? ორი ხელისუფალი ერთმანეთს წაეკიდება და ამის გამო უნდა ამოიძირკვოს, გადაშენდეს, ნასოფლარად იქცეს უძველესი, ისტორიული ქართული სოფელი?!

ამ ფიქრებით დამძიმებული ვბრუნდებოდი თბილისში და ვიხსენებდი, დაიბეჭდა ჩვენს გზეთებში თუნდაც ერთი პრობლემური სტატია, რომელიც ამ საკითხს სიღრმისეულად გააშუქებდა? არა და არა! ჩვენ მხოლოდ მავთულხლართი დავინახეთ[20] და თითქმის არ შეგვიმჩნევია, რა უბედურება მოჰყვა რუსი ოკუპანტების წარმოუდგენელ, უტიფარ უკანონობას. ერთი სამინისტროს წარმომადგენელი იმ პერიოდში ცინიკურად აცხადებდა: მთავარია, პროვოკაციას არ წამოვეგოთ, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, რამდენიმე მეტრით საზღვრის გადმოწევა არ დაღუპავს საქართველოსო. საზღვრის გადმოწევა რომ სოფლის სიკვდილს ნიშნავს, ჩვენი „ბრძენი პოლიტიკოსი“ ამაზე არ დაფიქრებულა. იქნებ, დაფიქრდა კიდეც, მაგრამ ხალხს თვალში ნაცარს აყრის.

არნახული ტემპი აქვს აღებული ჩვენს თანამედროვე პუბლიცისტიკას სკანდალურობის მიმართულებით. სენსაციებს გამოდევნებამ მის ბუნებაში ჩაკლა მოვლენათა სიღრმეებში წვდომის უნარი. იქნებ, ესაა მიზეზი იმისა, რომ დღეს გამოკვეთილი პუბლიცისტური სტილის მქონე მეგაზეთის დასახელება ჭირს? ჩვენი ჟურნალისტების დიდი უმრავლესობა მხოლოდ ინტერვიუერად ჩამოყალიბდა. კვირიდან კვირამდე დარბის, რათა როგორმე დაითანხმოს რესპონდენტი და


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მისი გაზეთის მიმართულების თანხვედრილი ინტერვიუ ჩამოართვას.

რას ჰქვია თანხვედრილი? გადაშალეთ გაზეთები და იოლად დარწმუნდებით, ყველა ოპოზიციური გაზეთი თემატურადაც კი ერთნაირია; ხელისუფლების მომხრე გაზეთებიც, რაღაც უხილავი ნებით, ნიველირებული გახლავთ. როგორ შეიძლება, ოპოზიციური გაზეთი ხელისუფლების თუნდაც ერთ დადებით ნაბიჯს ვერ ამჩნევდეს? ან კიდევ, სახელისუფლებო გაზეთის რედაქტორი ვერ ხედავდეს ვერაფერს ისეთს, თუნდაც ერთ კრიტიკულ შენიშვნას რომ იმსახურებდეს ხელისუფლება?

თანამედროვე პუბლიცისტიკის მნიშვნელოვანი ნაკლი ისიცაა, რომ იგი ზედმეტად პოლიტიზირებული და რადიკალურია. სამიოდე წლის წინ ერთი ოპოზიციური გაზეთის არცთუ უნიჭო ჟურნალისტს ვესაუბრებოდი. მაინტერესებს, რას გააკეთებ, როცა ხელისუფლება შეიცვლება, მერე რაღაზე უნდა წერო-მეთქი, ვკითხე. გაიღიმა და გულწრფელად მითხრა: ერთ-ორ თვეს დავისვენებ და მერე ამათ მოთხრას დავიწყებ, მე შენ გეტყვი, ნაკლს ვერ ვუპოვიო.

ჟურნალისტურ ამპარტავნობაზე ვწერდი და ერთ მეტყველ ფაქტს საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ. ერთხელ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს უხმო და უთხრა: შენიშვნას როგორ გაგიბედავთ, მაგრამ, თუ არ გეწყინებათ, გთხოვთ, რასაც დაწერთ, საბუთიც მოაყოლეთო. რა იყო ამ თხოვნა-რჩევაში უსაფუძვლო ან უსამართლო? მაგრამ ნაცადმა ჟურნალისტებმა ქოში უკუღმა ჰყარეს, როგორ გაგვიბედეთო, ჩვენი აღზრდა ხომ არ გადაწყვიტეთო; ღმერთო კი მოგვკალი, რა გვჭირს თქვენი დასარიგებელიო? ესაა ჟურნალისტური


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ამპარტავნობა (მეტი რომ არ ვთქვა). რა მიზეზია, რომ ჟურნალისტი მცირეოდენ შენიშვნასაც კი თაკილობს?!

საგაზეთო ჟურნალისტიკას დიდად არც რადიო-ტელევიზია უსწრებს.[21] მიუღებელია ჩვენი ჟურნალისტების დიდი უმრავლესობის ენა. სანთლით საძებნია დღეს გამართული ქართულით მოსაუბრე ჟურნალისტი.[22] ნებისმიერ გაზეთსა თუ ჟურნალში (წიგნებშიც!) აღმოაჩენთ ქართული ენის დამახინჯების უამრავ ფაქტს.

ქართულმა პრესამ ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის ხელში გამოიარა. გადახედეთ „ივერიას“ და „დროებას“ – რა თავანკარა ქართულს ფლობდნენ ჩვენი პუბლიცისტიკის კლასიკოსები. იქნებ, ელემენტარული სწორი მეტყველებისა და გამართულად წერის სკოლა მაინც დაგვეარსებინა, ძვირფასო კოლეგებო?!

## ლიტერატურა ▫ References


1. Tkebuchava, Diana (2022 November). Metamorphosis of Terminology in Media Studies. *BRAMS*, 3(7), pp.48-72.
2. ნატროშვილი ილია, ტაბიძე ნოდარ, კვანჭილაშვილი ტარიელ [და სხვ.] (1978). ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა: პუბლიცისტიკის ჟანრები (მეორე ნაწილი). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. კოვაჩი ბილ, როზენსტილი ტიმ (2006). ჟურნალისტიკის ელემენტები. თბილისი: „იმპერსი“.
4. Киш Э.Э. (1964). *Репортажи*. Москва, стр. 24.
5. ტყებუჩავა დიანა (2017). ტენდენციის გამჟღავნების ხერხები გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკაში. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №5-6, გვ. 3-14.
6. ტაბიძე ნოდარ (2012). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (ტომი პირველი). თბილისი: „უნივერსალი“.
7. გუგუშვილი პაატა (1941). ქართული ჟურნალისტიკა, თავი III: საქართველოს გაზეთი. თბილისი: „სახელგამი“.




ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

8. გაგოშიძე შოთა (2004). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია: XX საუკუნის 20-იანი წლები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
9. დარსაველიძე მარინე, კაჭარავა ხათუნა, ონიანი ნატო, ჩიკვილაძე დალი [და სხვ.] (2017). ჟურნალისტიკა (სახელმძღვანელო). მეორე განახლებული გამოცემა, თბილისი: თსუ-ის გამომცემლობა.
10. გაგოშიძე შოთა (1985). ჟურნალისტიკა და საზოგადოება. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
11. Nanitashvili, Vakhtang (2023 May). The Fourth Estate and the Fight for Georgian Statehood. *BRAMS* 4(8), pp. 37-48.
12. გაგოშიძე შოთა (1978). თავისუფალი სიტყვის ნაპერწკლები: XIX საუკუნის ქართული ხელნაწერი პრესის ისტორიიდან. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/536685/1/TavisufaliSityvisNaperwklebi_1978.pdf>
13. ᲘᲡᲐᲠᲚᲝᲕᲘ (ᲘᲡᲐᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ) ᲚᲣᲙᲐ (დ. 23 ნოემბერი, 1814 – გ. 11 სექტემბერი, 1893) – ქართველი პოეტი და ჟურნალისტი, ცენზორი, სახელმწიფო მოხელე. 1833 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია. სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, რომელზეც საინტერესო მოგონება დატოვა. სხვადასხვა პერიოდში მსახურობდა თბილისის, ქუთაისის, გორის, ახალციხის ადმინისტრაციულ, სასწავლო და სასამართლო დაწესებულებებში. 1881-1888 წლებში მსახურობდა კავკასიის საცენზურო კომიტეტში უმცროსი ცენზორისა და მდივნის თანამდებობებზე. ამ პერიოდში იგი ცარიზმის ოფიციალური პოლიტიკის ერთგული მცველი და გამტარებელი იყო საქართველოში. ქართულ ჟურნალ-გაზეთებს უკრძალავდა ნებიზმიერი ისეთი მასალის გამოქვეყნებას, რომელიც არ ეთანხმებოდა რუსეთის სახელმწიფო იდეოლოგიას. თანამედროვენი მას მიიჩნევენ გაზეთ „დროების“ დახურვის ინიციატორად. თანამშრომლობდა ქართულ („ცისკარი“) და რუსულ („კავკაზი“, „ტიფლისკი ვესტნიკი“, „ტიფლისკი ლისტოკი“, „გოლოს“ და სხვ.) პრესასთან. აქვეყნებდა ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლექსებს, ქართველოლოგიურ სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის თხზულებებს, მემუარებს. დაკრძალულია თბილისში, სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე [იხ.: სამხარაძე გუგა (1999).


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლუკა ისარლიშვილი (ისარლოვი) – მხოლოდ ავადსახსენებელი ცენზორი? „კალმასობა“, №3, გვ. 12 // ისარლოვი ლუკა (დეკემბერი, 1897). კათოლიკენი საქართველოში (წერილი). თვიური ჟურნალი „დროება“, №12, გვ. 61-92].
14. Nadare, Maia (2021). *Deontology through the International Media Law*. Tbilisi: Publishing House Universal, p. 47 (In Georgian).
15. Tkebuchava, Diana (1999). *Thoughts About Moral Values in the Opinion Press*. Tbilisi: Tsodnis Tskaro, p. 8 (In Georgian). // ტყებუჩავა დიანა (1999). ფიქრები ზნეობრივ ღირებულებებზე პუბლიცისტიკაში. თბილისი: „ცოდნის წყარო“, გვ. 8.
16. კალანდაძე ირანდა (22 სექტემბერი, 2025). ჟურნალისტიკა – სისხლსა და შიმშილზე დაფუძნებული პროფესია! გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №129, გვ. 6-7 <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/564122/1/Saqartvelos_Respublika_2025_N129.pdf>
17. ᲘᲜᲡᲘᲜᲣᲐᲪᲘᲐ (ლათ. insinuatio, ინგლ. insinuation) – ჭორის გავრცელება ვინმეს სახელის გასატეხად, ცილისწამება; ცილისმწამებლური გამონაგონი, მონაჩმახი [იხ.: ურიდია სამსონ და სხვ. (შემდგ.) (2004). მოხელის სამაგიდო ლექსიკონი: გაეროს განვითარების პროგრამა. თბილისი].
18. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 164-165 (In Georgian).
19. აფციაური გოგა (17 სექტემბერი, 2013). ინციდენტები დიცში. „რადიო თავისუფლება“ <https://www.radiotavisupleba.ge/a/border-incidents-in-ditsi/25109330.html>
20. The Grand Tour (2019, March 22). *Season 3, Episode 11: Sea to unsalty sea*. Amazon Prime Video.
21. გიორგაძე გვანცა (2009). მხატვრული „თვითკმაყოფილება“ ქართულ ტელემედიაში. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №4, გვ. 46-50 <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/295555/1/Teatri_Da_Cxovreba_2009_N4.pdf>
22. ჟორჟოლიანი შორენა (2009). ტელერადიო ჟურნალისტიკა. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №4, გვ. 50-53 <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/295555/1/Teatri_Da_Cxovreba_2009_N4.pdf>


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)